SAKAERONAVIGATSIA ltd
საქართველოს საჰაერო ნავიგაცია

კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვის შესახებ განცხადება

საკონკურსო განცხადება შედგენილია "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე

ქ. თბილისი
2011 წელი

სარჩევი

საკონკურსო განცხადება---------- 3

ტექნიკური დავალება---------- 7

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი ----------
---------- 8

საკონკურსო განცხადება

1. შპს "საქაერონავიგაცია" აცხადებს კონკურსს საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კონკურსის მიზანია შპს "საქაერონავიგაციის" ობიექტის, ქ. ბათუმის აეროპორტის ტერიტორიაზე ასაშენებელი შენობის საუკეთესო პროექტისა და ნახაზის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა <u>13 000 (ცამეტიათასი)</u> ლარი, რომელიც დამატებული ღირებულების გადასახადს არ შეიცავს.

4. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: (http://procurement.gov.ge/index.php?langid=GEO&secid=39).

5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
   - გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
   - შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
   - კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
   - საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე-4 ან მე-5 პუნქტის დარღვევით საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსატთან ხელშეკრულების დადებამდე.

8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.
   შენიშვნა: დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.

9. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2011 წლის 14 ნოემბერს 11:00 საათზე და მთავრდება 2011 წლის 14 ნოემბერს 18:00 საათზე.
10. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2011 წლის 14 ნოემბერს 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი 0158, აეროპორტი.
11. ვადის გადაცილებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.
12. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშფაქტურის საფუძველზე.
13. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს და საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს:
    - რეკვიზიტები;
    - სატიტულო ფურცელი ავტორის ან ავტორთა ჯგუფის ხელმოწერით და დამოწმებული ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
    - საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ-ს გარეშე), წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარში;
    - გასაწევი მომსახურების შესახებ განმარტებითი ბარათი, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს პროექტის დახასიათება;
    - გენერალური გეგმა (შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობით);
    - შენობის გეგმა;
    - შენობის ყველა ფასადი მ1:100;
    - მაღალი ხარისხის ფოტო მონტაჟი და რენდერები (მოსაპირკეთებელი მასალების მითითებით);
    - კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შპს "საქაერონავიგაციის" ობიექტის, ქ. ბათუმის აეროპორტის ტერიტორიაზე ასაშენებელი შენობის დიზაინერული გადაწყვეტა;
    - ინფორმაცია კონკურსანტის მიერ განხორციელებული მსგავსი არქიტექტურული პროექტის შესახებ;
    - ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადის შესახებ;
    - ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ;

14. მე-13 პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის ორი ეგზემპლარი უნდა იყოს ნაბეჭდი A3 ფორმატში, ხოლო ელექტრონული ვერსია წარმოდგენილი - PDF ფორმატში.
15. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
16. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (13 000 ლარი) არ განიხილება.
17. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:
    - შენობის არქიტექტურული გადაწყვეტა, კომპაქტურად და ზონალურად სწორი შიდა დაგეგმარება, პრაქტიკული გამოყენებისა და ორიგინალური იდეის თვალსაზრისით: კოეფიციენტი – 0,7;
    - საკონკურსო წინადადების ღირებულება: კოეფიციენტი – 0,3.
    - შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით.
    - კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.
18. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს საპროექტო დოკუმენტაცია ხელშეკრულების დადებიდან 1 თვეში.:

    - გრუნტის გეოლოგიური კვლევა;
    - არქიტექტურული ნაწილი (მუშა პროექტი);
    - კონსტრუქციული ნაწილი;
    - შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე კეთილმოწყობა ტოპოგრაფიულ რუქაზე დატანილი მ1:500 (ტერიტორიის ფართი 84მ^2);
    - შიდა წყალმომარაგება-კანალიზაცია;
    - გარე წყალმომარაგება-კანალიზაცია (დასაპროექტებელია არტეზიული ჭა და კანალიზაციის გარე ჭა);
    - შიდა ელექტრომომარაგება, განათება;
    - სუსტი დენები;
    - ვენტილაცია, კონდიცირება და გათბობა;
    - შენობის ფასადური ნაწილის განათების დიზაინი და სქემა;
    - შიდა ინტერიერი (გამოყენებული მოსაპირკეთებელი მასალების დახასიათება);
    - ქ. ბათუმის აეროპორტში შპს "საქაერონავიგაციის" კუთვნილ ტერიტორიაზე არსებული ამორტიზებული, ერთსართულიანი შენობის დემონტაჟის მშენებლობის

- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

19. შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები საპროექტო დოკუმენტაციაში.
20. საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ოთხ ეგზემპლარად, აგრეთვე ელექტრონული ვერსიის ArchiCAD-ის ან AutoCAD-ის პროგრამაში და პროექტის შემადგენელი თითოეული დოკუმენტი PDF ფაილის ფორმატში. ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ-ს.
21. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.
22. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი საკონტაქტო პირისგან: გოჩა ნადირაძე, ქეთევან მეხუზლა, ზვიად აბესაძე ტელ: 2 744 373, 2 744 302 მის: აეროპორტი, 0158 თბილისი.

ტექნიკური დავალება

დასაპროექტებელი შენობის მდებარეობა:

შენობა უნდა აშენდეს ქ. ბათუმში - აეროპორტის ტერიტორიაზე შპს „საქაერონავიგაციის" კუთვნილ მიწის ნაკვეთზე.

დასაპროექტებელი შენობის აღწერილობა:

- შენობა უნდა იყოს ერთსართულიანი, მასში განთავსებული უნდა იყოს საწყობი 35მ^2
  საოფისე ოთახი 9მ^2, სველი წერტილი ხელსაბანით და უნიტაზით. შენობას უნდა გააჩნდეს ორი დამოუკიდებელი შესასვლელი, ცალკე საწყობისთვის სიგანით 2 მ და ოფისისთვის სიგანით 0,90 მ.
- ოთახს, რომელშიც განთავსდება ოფისი სამი მხრიდან უნდა ჰქონდეს მოწყობილი ვიტრაჟები.
- იატაკის ნიშნული უნდა იყოს გრუნტიდან არანაკლებ 0,5 მ, ხოლო სახურავის უმაღლესი ნიშნული არ უნდა აღემატებოდეს 5მ.
- სახურავი უნდა მოეწყოს ბრტყელი გადახურვით.
- შენობის ფასადი აუცილებლად უნდა იყოს მარკირებული იკაო-ს სტანდარტების შესაბამისად.
- შენობის წყლით მომარაგება უნდა განხორციელდეს არტეზიული ჭის მეშვეობით.
- საკანალიზაციო სისტემა უნდა იყოს ავტონომიური. შენობის გვერდით მოეწყოს საკანალიზაციო ჭა.
- მოშენების საერთო ფართი უნდა იყოს 65 მ^2.

მომსახურების გაწევის ვადაა 1 თვე.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ქ. თბილისი 2011 წელი

შემსყიდველი: **შპს „საქაერონავიგაცია“,**

დირექტორის, **გ. ედიშერაშვილის** სახით,

მისამართი: ქ. თბილისი, აეროპორტი 0158, ტელ. 74-42-27.

საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „რესპუბლიკა“ ბანკი კოდი 220101757; ა.ა 005467067 ს.კ. 208144051.

მიმწოდებელი - _____

დირექტორი - _____

მისამართი, ტელეფონი - _____

საბანკო რეკვიზიტები - _____

ერთის მხრივ - **შემსყიდველი**, და, მეორე მხრივ, - **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტია ხელშეკრულების დანართის შესაბამისად შპს “საქაერონავიგაციის” ობიექტის, ქ. ბათუმის აეროპორტის ტერიტორიაზე ასაშენებელი შენობის საპროექტო მომსახურების შესყიდვა (შემდგომში, მომსახურება).

1.2. ხელშეკრულება იდება **№----** კონკურსში გამარჯვებულ პირთან.

1.3. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდია **----------**.

მუხლი 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე, რომლის მიზანია მომსახურების გაწევის ვად(ებ)ის, მოცულობისა და ხარისხის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

2.2. ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს შემსყიდველის სახელით ახორციელებს----------.

მუხლი 3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურების გაწევის თაობაზე მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლები აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.
3.2. შემსყიდველის სახელით მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება ----------.

მუხლი 4. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ---------- (----------) ლარს.
4.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების შესაბამისი ღირებულება სრულად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით.
4.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.
4.4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გადახდის ფორმაა საქართველოს ეროვნულ ვალუტაში უნაღდო ანგარიშსწორება.
4.5. ანგარიშსწორება ხორციელდება მომსახურების გაწევის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის შემსყიდველისთვის წარდგენიდან 10 დღის ვადაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
   5.1.1. გასწიოს ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული მომსახურება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ----------ვადაში.
   5.1.2. შეასრულოს სახელშეკრულებო ვალდებულებები პირადად და არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებები მესამე პირებს.
5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
   5.2.1. მოითხოვოს მომსახურების ღირებულების დროული და სრული გადახდა.
   5.2.2. მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების დაცვა.
   5.2.3. მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებით, შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
5.3. შემსყიდველი ვალდებულია:
   5.3.1. გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების შესაბამისი ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით.
   5.3.2. შეამოწმოს მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით დადგენილ ხარისხთან.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:

5.4.1. განაცხადოს პრეტენზია გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით, თუ იგი არ შეესაბამება ხელშეკრულებით დადგენილ მოთხოვნებს.

5.4.2. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულების შესრულებაზე.

5.4.3. მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებით, შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

6.2. ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო გადასახდელი ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებული დღისთვის.

6.3. მხარეებს ყოველთვის აქვთ უფლება მოითხოვონ ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს პასუხისმგებლობის დაკისრებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

7.2. ხელშეკრულებს მიზნებისთვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება იყოს გამოწვეული ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება,

დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისგან.

მუხლი 8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინების შემდეგ:

8.1.1. თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მომსახურების გაწევა.

8.1.2. თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

8.1.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.1.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

8.1.5. ამ მუხლის 8.1. პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი მხარე ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის განზრახვის თაობაზე არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

9.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

9.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებ(ებ)ის შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

მუხლი 10. დავების გადაწყვეტა

10.1. მხარეები ვალდებულნი არიან მოაგვარონ ყველა უთანხმოება მოლაპარაკების გზით, ხოლო ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას წყვეტს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის საფუძველზე ----------დან და მოქმედებს ----------მდე.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

მუხლი 13. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველის სახელით:	**მიმწოდებლის სახელით:**
(უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი,	(უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი,
ხელმოწერა და თანამდებობა)	ხელმოწერა და თანამდებობა)
---	---